



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №22

2015 წლის 6 მარტი

ქ. დუშეთი

### დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

#### გადაწყვიტა :

1. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა. (დანართი №1).
2. საკრებულოს კომისიებმა ( ი. კობაიძე, გ. ინაშვილი, ვ. ჭინჭარაული, გ. ცოკილაური, ს. კაკაბლიძევილი) უზრუნველყონ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესწავლა და მომზადება დადგენილ ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2015 წლის მეორე კვარტლის

სამუშაო გეგმა

№ რიგზე	შესასრულებელი საკითხები	შესრულების დრო	შესრულებაზე პასუხისმგებელი	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	შესწავლილი იქნეს საკითხი- „ქ. დუშეთში, დაბა ჟინვალსა და დაბა ფასანაურში მწვანე ნარგავების გაშენების, მოვლა-პატრონობის, გარემოს დაცვის მდგომარეობის შესახებ“. მომზადდეს წინადადებები მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით	აპრილი 2015 წელი	ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია გიორგი ცოკილაური	
2	შესწავლილი იქნეს საკითხი - „მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ	აპრილი 2015 წელი	სოციალურ საკითხთა კომისია სალომე კაკაბლიშვილი	
3	მომზადდეს და საკრებულოს წარედგინოს ანგარიში მ/წლის I კვარტლის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობის შესახებ	მაისი 2015 წელი	საფინანსო -საბიუჯეტო კომისია გიორგი ინაშვილი	
4	შესწავლილი იქნეს საკითხი - „მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების გაზიფიცირების მდგომარეობის შესახებ“ და მომზადდეს რეკომენდაციები და წინადადებები მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით	მაისი 2015 წელი	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია ვაჟა ჭინჭარაული	

5	შესწავლილი იქნეს საკითხი საკრებულოს წევრთა მიერ საქართველოს კანონმდებლობის და საკრებულოს დებულების მოთხოვნათა დაცვის შესახებ	ივნისი 2015 წელი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია ივანე კობაიძე	
---	--	---------------------	---	--

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი